SAPPORO'72

საპოროს „თეთრი თამაშების“ გახსნამდე დარჩა 2 დღე

აქლარს არ შეუშინდნენ

საპორო, 30 იანვარი. ოლიმპიურ სოფელში უკვე აღმართულია 27 ქვეყნის ეროვნული ალმები, სულ კი აქ მოელიან მსოფლიოს 35 ქვეყნის წარმომადგენლებს. ბოლო დღეებში ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქში ამინდი მკვეთრად გაუარესდა: ძლიერი ქარი, რომელიც ხშირად ქარბუქში გადადის, ბუნებრივია, ხელს უშლის სპორტსმენთა ვარჯიშს. მხოლოდ სპრინტერები არ შეუშინდნენ ამინდის ჭირვეულობას და საასპარეზოდ გამოვიდნენ. საუკეთესო შედეგს მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა, ფინელმა ლ. ლინკოვესმ — 39,1. მასთან ერთად გამოდიოდა საბჭოთა სპორტსმენი ვ. მურატოვი, მაგრამ იგი სტარტზევე დაეცა. მეორე შედეგი აჩვენა მსოფლიო რეკორდის თანაავტორმა ვ. კელერმა (გფრ) — 39,9. საბჭოთა მოციგურავე ვ. კომაროვი მეცხრე იყო — 41,4.

ამხანაგური საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარეს სსრ კავშირის ჰოკეისტებმა, რომლებიც ჰოკაიდოს ნაკრებს შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელთა კარს რიგრიგობით იცავდნენ საბჭოთა მეკარეები ვ. ტრეტიაკი და ა. პაშკოვი, მასპინძლები მაინც ვერ გადაურჩნენ გამანადგურებელი ანგარიშით წაგებას — 0:25.

იაპონელი მაყურებლები დიდ ინტერესს იჩენენ ჰოკეისტების, ფიგურული ციგურაობის ოსტატთა და, განსაკუთრებით, ტრამპლინიდან მხტომელთა ვარჯიშებისადმი. მით უმეტეს, რომ საუკეთესო ფორმაშია მათი ფავორიტი „მფრინავი მოთხილამურე“ ი. კასაია. ორიოდე დღის წინ 70-მეტრიანი ტრამპლინიდან იგი 82 მეტრზე გადახტა. კარგი შედეგები აჩვენეს სხვა იაპონელმა სპორტსმენებმაც.

საპოროში დაარიგეს ტრამპლინიდან მხტომელების ვარჯიშებზე დასასწრები უფასო ბილეთები, მაგრამ დღეს უამინდობის გამო „მფრინავი მოთხილამურეების“ წვრთნა არ შედგა. საინტერესო დეტალი: თეთრი ოლიმპიადის ბილეთებს 70 პროცენტი გაიყიდა თითქმის ერთი წლის წინ.

საპოროში უსიამოვნებაც მოხდა. იაპონელმა საქმოსნებმა თავიანთი პროდუქციისა და ფირმების რეკლამირებისთვის გადაწყვიტეს სპორტსმენების გამოყენება, რასაც წინ აღუდგნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. განაწყენებულმა საქმოსნებმა გამოაცხადეს, რომ თუ მათი ჩანაფიქრი არ განხორციელდება, ისინი ბოიკოტს გამოუცხადებენ ოლიმპიურ თამაშებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრუნდეჯი 1 თებერვალს გამართავს ვიწრო პრეს-კონფერენციას, რომელსაც 3752 აკრედიტებული ჟურნალისტიდან მხოლოდ 40 დაესწრება.

კუნძულ ჰოკაიდოს ადმინისტრაციული ცენტრი — საპორო მილიონიანი ქალაქია. ოლიმპიადისთვის სამზადისის პერიოდში აქ გაყვანილი იქნა ახალი მაგისტრალები, მწყობრში ჩადგა მეტროს 12-კილომეტრიანი ხაზი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გამოკიდებულია ოლიმპიური ვიმპელები და მისალმებები სპორტსმენებისადმი.

• • •

სურათზე: ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში.

ნ. გერონინის ფოტო (საკდესი).

ჩირაღდანი ჩამოვიდა

საპორო, 30 იანვარი. გუშინ აქ ჩამოიტანეს ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელმაც გრძელი გზა განვლო. 28 დეკემბერს მან საბერძნეთში აიღო სტარტი, 1 იანვარს კი ტოკიოში ჩავიდა. მერე ჩირაღდანმა იაპონიის ტერიტორიაზე 4800-კილომეტრიანი ესტაფეტა განვლო, რომელშიც 16000-ზე მეტმა იაპონელმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

3 თებერვალს ოლიმპიური ჩირაღდნის მეშვეობით ზამთრის XI ოლიმპიადის ცეცხლი აგიზგიზდება. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საასპარეზოდ ჩამოვა 35 ქვეყნის 1129 სპორტსმენი.

პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1972 წ.
№ 22 (4532)
თებერვალი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საკ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



სურათზე: შიდა ხედი დახურული საცეცურაოსი, სადაც ჩატარდება შეჯიბრებები ფიგურულ ციგურაობასა და ჰოკეიში.

კიოდო — საკდესის ფოტო.

ოლიმპიური სარბიელი



სურათზე: 70-მეტრიანი ტრამპლინი, სადაც 6 თებერვალს დაიწყება „მფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობა.

ლაურეატები — ტურიშჩევა და კლიმენკო

მოსკოვი, 31 იანვარი. მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, გროზნოელი სტუდენტი ლიუდმილა ტურიშჩევა და კონტინენტის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ვიქტორ კლიმენკო 1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციის მიერ პირველად ჩატარებულმა ანკეტამ ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებად გამოაცხადა.

ქალთა შორის ჭულათა მეორე ჯამი მოაგროვა ევროპის ჩემპიონმა, ვიტებსკელმა თ. ლაზაკოვიჩმა, ხოლო მესამე — თბილისელმა ნ. დროზოვამ.

ვაუებში მეორეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი ზ. ვორონინი, ხოლო მესამე — მრავალჯერადის ცალკეულ სახეობებში ევროპის ჩემპიონი, ვლადიმირელი ნ. ანდრიანოვი.

თავიანთ პასუხებში მწვრთნელებმა, მსაჯებმა და ჟურნალისტებმა საუკეთესოთა შორის დაასახელეს, აგრეთვე, ქალებში — მოსკოველები ო. კარასიოვა და ზ. ვორონინა, ბელორუსიის წარმომადგენლები ო. კორბუტი და ა. კოშელი, ვაუებში კი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ვერცხლის ლაურეატი, მინსკელი ა. მალეევი და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ფოგელი.

გადაწყდა ეს ანკეტა ტრადიციულად აქციონ.





პირველი ლაურეატები

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა I საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. კარტოზიას სახელობის თასზე. მეჯიბრეების ბოლო დღეს ჭიდაობის მრავალრიცხოვანი მოყვარული რამდენიმე საინტერესო შეხვედრის მოწმე გახდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მძიმე წონის ათლეტებზე, რომლებმაც მაღალი კლასი გამოავლინეს და მაყურებელთა დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

...მეორე წრის შემდეგ უმჩატეს წონაში დაწინაურდნენ ფ. ყურბანოვი (ბაქო) და ს. კრესტეფი (ბულგარეთი), რომლებმაც მესამე წრემდე წარმატებით იჭიდავეს (ყურბანოვმა ქულებით სძლია ბულგარელ ნ. პეტროვს, ხოლო კრესტეფმა წმინდად მოგო თბილისელ ი. კახელიშვილს). ფინალში სწორედ ეს ორი სპორტსმენი შეხვდა ერთმანეთს. მათი პაექრობა ბაქოელის გამარჯვებით დამთავრდა.

მომდევნო წონაში გამოირჩეოდნენ ერევნელი ვ. არუთინიანი და კიროველი ვ. შატუნოვი, რომლებმაც ყველა მეტოქე დაჯაბნეს. გამარჯვებულის ვინაობა უნდა გაერკვია მათს ფინალურ შერკინებას. მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში მეტოქეები დაზავდნენ, და რადგან ერევნელს ნაკლები საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა, I ადგილიც მას ხვდა. პირველ და მეორე წრეში (მუგო ბულგარელ გ. ჯისოვს) გამარჯვებების შემდეგ ზ. შეყრილაძე დამარცხდა არუთინიანთან და ვ. შატუნოვთან. ქუთაისელი მოჭიდავე პრიზიორთა მიღმა დარჩა.

ქვემსუბუქ წონაში ტოლი არ ჰყავდა გროზნოელ ნ. დავიდიანს, რომელმაც ფინალამდე ყველა შეხვედრა მოიგო. მოსკოველ ფ. მუსტაფინთან გადამწყვეტ ორთაბრძოლაში პასიურობისთვის ორივე მოჭიდავეს წაგება მიეკუთვნა. ამ დამარცხების მიუხედავად, გროზნოს წარმომადგენელი I ადგილის მფლობელი გახდა.

მსუბუქ წონაში ორი ეამარჯვების შემდეგ ვ. ტოპოროვმა (ალმა-ათა) მეოთხე წრეში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ა. შადიევთან (ბუხარა), რაც საკმარისი აღმოჩნდა I ადგილის მოსაგებად. ამ წონაში საქართველოს ღირსებას იცავდნენ გ. ჯოხაძე და დ. ლოლაძე, რომლებიც მეორე წრიდან გამოეთიშნენ ასპარეზობას.

პირველ ქვესაშუალო წონაში თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს ი. კოზინმა (კუიბიშევი) და ც. დონკოვმა (ბულგარეთი). კოზინმა 4 გამარჯვება იზეიმა, ხოლო დონკოვმა — 2. პირველობა კოზინს დარჩა.

მეორე ქვესაშუალო წონაში 7 სპორტსმენი გამოდიოდა, რომელთაგან 2 თბილისელი იყო — თ. ლეჟავა და ი. ბერიმვილი. პირველი წაგების შემდეგ (ტერნოპოლელ ა. ლოსევთან) ლეჟავამ მეორე წრეში ქულებით სძლია მოსკოველ ნ. სპარიკინს, ჭიდავე 6 წუთსა და 30 წამში მოუგო ბერიშვილს, მერე კი ა. სტატივკას (ვოროშილოვგრადი), მაგრამ პირველობის მოსაპოვებლად ეს უკმარი გამოდგა. გაიმარჯვა სტატივკამ, რომელიც ფინალში ლოსევს შეხვდა და ეს უკანასკნელი პასიურობისთვის მოიხსნა. ლეჟავას II ადგილი ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

პირველ საშუალო წონაში გამარჯვებული უნდა გამოვლინებინა ვ. მუსანოვისა (სარატოვი) და თ. გალდავას (თბილისი) ორთაბრძოლას. ორივე სპორტსმენმა წარმატებით ჩაატარა წინა შეხვედრები (2-2 გამარჯვება)... ხაყურებლები საინტერესო, უშედეგათო ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ მათი ეარაუდი არ გამართლდა. გალდავა ამჯერად პასიურად მოქმედებდა და მეტოქეს დიდად დაწინაურების საშუალება მისცა. გაიმარჯვა მუსანოვმა, რომელიც დაეუფლა კიდეც ტურნირის მთავარ ჯილდოს — გ. კარტოზიას სახელობის თასს. მუსანოვმა დიდი ნებისყოფა გამოიჩინა, ფარ-ხმალი მაშინაც არ დაყარა, როცა მესამე წრეში იგი და მისი მეტოქე ვ. კოსულინი (კრასნოდარი) მსაჯთა გადაწყვეტილებით შეხვედრიდან მოიხსნენ.

მეორე საშუალო წონაში დაწინაურდნენ თბილისელი ათლეტები მ. სალაძე და თ. რეხვიაშვილი, რომელთა შეხვედრასაც უნდა დაესახელებინა გამარჯვებული. ფინალური ჭიდილის წინ სალაძეს 4,5 საჯარიმო ქულა ჰქონდა, რეხვიაშვილს — 4. I ადგილის მოსახვეჭად ამ უკანასკნელს ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ სალაძემ უკეთ იჭიდავა და ქულებით გაიმარჯვა (7:2). ეს პირველთანრიგოსანი სპორტსმენის თვალსაჩინო წარმატებაა. იგი ერთობ ღონიერი ათლეტია. თუ სალაძე კიდევ უფრო დახვეწს ჭიდაობის ტექნიკას და ტაქტიკასაც უკეთ დაეუფლება; მაშინ იგი გვერდში აბოუდგება ჩვენს სანაქებო ფალავნებს.

ქვემძიმე წონაში წარმატებით ასპარეზსა მოსკოველმა ნ. ბალბოშინმა. მან 3 შეხვედრა მოიგო (მათ შორის, ორი წმინდად), ერთი ფრედ დაამთავრა და ფინალში ქულებით სძლია თანაქალაქელ ვ. არტიუხინს.

ყველაზე სახელოვანმა მოჭიდავეებმა მძიმე წონაში მოიყარეს თავი. აქ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები — ლენინგრადელი ა. როშჩინი და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. შმაკოვი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ა. კოჩნევი (ომსკი), ვ. მერკულოვი (ვორონეჟი) და პ. სტანჩევი (ბულგარეთი).

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ წონაში ასპარეზობამ მოხიბლა სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი. განსაკუთრებით საინტერესო იყო ბოლო დღე. მძიმეწონოსნებმა მაღალი ტექნიკა, გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვა გამოიჩინეს. რად ღირდა თუნდაც როშჩინისა და მერკულოვის შერკინება! ქვემძიმე წონაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა მერკულოვმა პირველად სცადა ძალა უფრო მაღალ წონის კატეგორიაში. იგი არ შეუშინდა როშჩინის ტიტულებს, მის წონას (ლენინგრადელი 126 კგ-ია, ხოლო მერკულოვი—133) და შეუპოვრად შეება გოლიათ მეტოქეს. ერთ მომენტში როშჩინი ძლივს გადაურჩა წმინდად წაგებას, ხოლო შემდეგ ბას დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, რათა მდგომარეობა გაეთანაბრებინა — შეხვედრა ფრედ დამთავრებინა.

შმაკოვი შეხვდა კოჩნევს. ეს ჭიდილიც ფრედ დამთავრდა და მოხდა ისე, რომ სამ სპორტსმენს—შმაკოვს, კოჩნევს და მერკულოვს 6,5-6,5 საჯარიმო ქულა აღმოაჩნდათ და I ადგილი მერკულოვს მიეკუთვნა, რადგან იგი მეტოქეებზე ნაკლები წონისა იყო.

საერთაშორისო ტურნირი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა და მისი ორგანიზატორების მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

ზ. ჯანდიერი,
ვ. ქოგელაშვილი.

• • •

სურათებზე: გ. კარტოზია მთავარ პრიზს გადასცემს პირველ საშუალო წონაში გამარჯვებულ მუხანოვს; მერკულოვისა და როშჩინის შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

• • •

პრიზიორთა სია

48 კგ. 1. ფ. ყურბანოვი (ბაქო), 2. ს. კრესტეფი (ბულგარეთი), 3. ი. სტოიკო (რუმინეთი).

52 კგ. 1. ვ. არუთინიანი (ერევანი), 2. ლ. შურუპოვი (ბულგარეთი). 3. ვ. შატუნოვი (კიროვი).

57 კგ. 1. ნ. დავიდიანი (გროზნო), 2. ფ. მუსტაფინი (მოსკოვი), 3 ი. ნეცკაჟი (ჩეხოსლოვაკია).

62 კგ. 1. ვ. ტოპოროვი (ალმა-ათა), 2. ს. ლაზაროვი (ბულგარეთი), 3. მ. ჩუტანი (რუმინეთი).

68 კგ 1. ი. კოზინი (კუიბიშევი), 2. ც. დონკოვი (ბულგარეთი), 3. ი. ტანეინა (პოლონეთი).

74 კგ. 1. ა. სტატივკა (ვოროშილოვგრადი), 2. თ. ლეჟავა (თბილისი), 3. ა. ლოსევი (ტერნოპოლი).

82 კგ. 1. ვ. მუხანოვი (სარატოვი) 2. ი. ბენდერი (რუმინეთი), 3. მ. ჩარდიბონი (პოლონეთი).

90 კგ. 1. მ. სალაძე, 2. თ. რეხვიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ნ. დონჩენკო (დუშანბე).

100 კგ. 1. ნ. ბალბოშინი (მოსკოვი), 2. ა. კარმაცკისი (კიევი), 3. ა. სკშიდლევსკი (პოლონეთი).

მძიმე წონა. 1. ვ. მერკულოვი (ვორონეჟი), 2. პ. სტანჩევი (ბულგარეთი), 3. ნ. შმაკოვი (მოსკოვის ოლქი), ა. კოჩნევი (ომსკი).

ვ ა დ ა ერთვნული კამეიბურობა

საჭადრაკო სამყარო მოუთმენლად ელის ცნობას, სად და როდის შედგება ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — რ. ფიშერის (აშშ) მატჩი მსოფლიო პირველობაზე. გუშინ ამოიწურა მხარეთა მოლაპარაკების ვადა.

ახალი, 1972 წლის დამდეგს ფიდე-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა მ. ეივემ საგანგებო კომისიის წევრებთან ერთად განიხილა მატჩის ორგანიზაციის მსურველთა განცხადებები. მასპინძლობისთვის მზად არიან იუგოსლავიის, ბრაზილიის, ისლანდიის, არგენტინის, საფრანგეთის, საბერძნეთის და სხვა ქვეყნების ჭადრაკის ფედერაციები. ყველა ფედერაცია დიდ ფულს სთავაზობდა ფიდე-ს და მატჩის მონაწილეებს. სხვათა შორის, ყველაზე დიდი თანხა გაიღო მანჰატენის საჭადრაკო კლუბმა (აშშ, ნიუ-იორკის შტატი): გამარჯვებულს — 400 ათასი დოლარი, დამარცხებულს — 200 ათასი. მაგრამ კლუბს, რომელიც მსოფლიო პირველობაზე პირველ (1886 წ.) მატჩს მასპინძლობდა, მაინც უარი ეთქვა, როგორც დაინტერესებულს.

მატჩის გამართვის მსურველ ქვეყანათა სია გაეგზავნათ ბ. სპასკის, რ. ფიშერსა და მათი ქვეყნების ფედერაციებს, რათა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან. იუგოსლავიის ჭადრაკის მეხვეურებმა, რომელთაც მატჩის მოწყობისთვის და ჯილდოებისთვის 152 ათასი დოლარი გაიღეს, საგანგებო დელეგაციებიც კი მიავლინეს მოსკოვსა და ნიუ-იორკში მსოფლიო ჩემპიონთან და პრეტენდენტთან მოსალაპარაკებლად.

როგორც ვიუწყებოდით, სპასკის ევროპაში სურს თამაში (მას ამას სხვებიც ურჩევენ), ფიშერს კი ამერიკის კონტინენტზე ანდა იქ, სადაც გამარჯვებულს მეტ ფულს მისცემენ.

და აი, ვადა ამოიწურა. 31 იანვარი ბოლო დღე იყო, რომელიც ფიდე-მ დაუნიშნა სპასკისა და ფიშერს პასუხის გამოსაგზავნად.

ახლა სიტყვა ფიდე-ს ეკუთვნის. ამ დღეებში ალბათ ცნობილი გახდება ვინ უმასპინძლებს მატჩს და როდის დაიწყება იგი. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, მაშინ ძალაში შევა ფიდე-ს გადაწყვეტილება: მატჩის პირველი ნახევარი (12 პარტია) გაიმართება ნიუ-იორკში, მეორე (12 პარტია) — მოსკოვში.

თ. გიორგაძე.

გ ე ვ რ ი გ ა დ ა ი დ ო...

რიგაში მიმდინარეობს სსრ კავშირის ახალგაზრდა (26 წლის ასაკამდე) ოსტატთა ჩემპიონატი. ტურნირმა უაღრესად ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი — ზოგიერთ მონაწილეს კარგად უთამაშია სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატში, საერთაშორისო ტურნირებში, სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატში... ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკეების პაექრობა დიდ ინტერესს იწვევს.

ორი დღის ბრძოლის შემდეგ დაწინაურდნენ მინსკელი ვ. კუპრეიჩიკი და კალინინგრადელი ვ. გუსევი — 1,5-1,5 ქულა. ბრძოლა იმდენად დაძაბულია, რომ 8 პარტია (16-დან) გადადებულია და ამიტომ სხვა მონაწილეთა მდგომარეობის გარკვევა შეუძლებელია.

თბილისელი ოსტატი თ. გიორგაძე I ტურში დამარცხდა კუპრეიჩიკთან, II ტურის შეხვედრა გ. კუზმინთან (ბაქო) დაუთამაშებელი აქვს.

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

● **მოსკოვი, 30 იანვარი.** ძმები ზამენსკების სახელობის სარბიელზე — „სპარტაკის“ დახურულ სტადიონზე ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა „დინამოს“ ზამთრის საკავშირო პირველობა და მოსკოვის თასის გათამაშება მძლეოსნობაში. გუშინწინ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა სპრინტში, მოსკოველმა ა. კორნელიუკმა რეკორტანის ბილიზე (იგი ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა ქვეყნის მანეჟებში) 60-მეტრიანი დისტანცია 6,4 წამში გაირბინა, რაც დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევის გამეორებაა. შეჯიბრების მეორე დღეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სოხუმელმა ვ. სანეევმა სამსტომში წლეულს მსოფლიოს საუკეთესო შედეგი აჩვენა — 16,77 მ. მოსკოველმა ვ. გავრილოვმა 21ბ სმ სიმაღლე დაძლია. მას მხოლოდ სანტიმეტრით ჩამორჩა ლენინგრადელი ი. ტარმაკი. სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა გ. მიტროხინამ (მოსკოვი) 100-მეტრიანი მანძილი 11,7 წამში გაირბინა, ხოლო მოსკოველმა ვ. საპეიამ ამავე დისტანციას 10,5 წამი მოანდომა. ბირთვის კვრაში გაიმარჯვა რ. პლუნკევმ (კაუნასი) — 18,60 მ. 60 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობეს ოდესელმა ლ. ხატრინამ (8,3. ეს შედეგი 0,1 წამით უარესია მისსავე საკავშირო მიღწევაზე) და მოსკოველმა ა. კოსარევმა (7,8). ჭოკით ხტომა მოიგო 19 წლის ი. ლაურისმა (რიგა) — 5 მ.

● **ტალინი, 30 იანვარი.** ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩში გაიმართა VII პარტია, რომელიც 30-ე სვლაზე კუპერმანის წინადადებით ყაიმით დასრულდა. მატჩის ანგარიშია 3,5:3,5.

● **მოსკოვი, 30 იანვარი.** „კუნცევოს“ სპორტულ დარბაზში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ბელოვარის „პარტიზანის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. მართალია, საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ეს შეხვედრა (17:11), მაგრამ მაინც გამოეთიშნენ ასპარეზობას, ვინაიდან პირველი მატჩი კარლოვაცში იუგოსლავიელ ხელბურთელებს უკეთესი სხვაობით (21:14) ჰქონდათ მოგებული. „პარტიზანი“ ფინალში გავიდა.

● **მოსკოვი, 30 იანვარი.** ფილის პარკში ამას წინათ აგებულ ტრასაზე პირველად გაიმართა მოსკოვის ჩემპიონატი საციგაო სპორტში. თავი გამოიჩინა 19 წლის ვ. ცვენტარნიმ, რომელმაც ერთადგილიანებით შეჯიბრებაც მოიგო და ორადგილიანებითაც (ა. ფედოსენკოსთან ერთად).

● **ვიენა-ან-ზეემ, 31 იანვარი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ გამართული საერთაშორისო საახალწლო „ჰოგოვენ“-ტურნირის ფინიში ერთობ მშვიდობიანი გამოდგა: ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა (ვ. სმისლოვი დაუზავდა ავსტრალიელ უ. ბრაუნს, ხოლო ვ. სავონი — ამერიკელ პ. ბენკოს). I ადგილი დაიკავა უნგრელმა ლ. პორტიშმა — 10,5 ქულა 15-დან. II-III ადგილები გაიყვეს ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და ა. პომარმა (ესპანეთი) — 9-9 ქულა. 8,5 ქულით IV ადგილზეა ბრაუნი. საბჭოთა დიდოსტატებმა V-VI ადგილები გაიყვეს — 8-8.

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

უჩვეულო ზამთრის მიუხედავად რუსთავში არ წყდება ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის ჯგუფები.

• • •

სურათზე: პირველთანრიგოსანი მხატვრული ტანმოვარჯიშე ნ. დოლიძე საწვრთნელი მეცადინეობის დროს. ეს გოგონა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის შესრულებისა და რესპუბლიკის სპარტაკიადისთვის ემზადება.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა იმედები გაამართლონ

ცნობილი გამონათქვამია: ვიდრე თამაში არ დამთავრდება, შენს მეტოქეს არ წაუგია. ამ სიტყვების შეშმარიტება დაადასტურა „ა“ კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობამ, როცა ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მინსკის ბურევესტნიკელები. მართლაც, ჩვენმა ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს პირველი ორი პარტია. მათი უპირატესობა აშკარა იყო და არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მესამე ხელსაც თბილისელები მოიგებდნენ, მით უმეტეს, ისინი დაწინაურდნენ ანგარიშით 12:10.

და აი, ამ დროს თბილისელმა სტუდენტებმა მოადუნეს ყურადღება, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც: წააგეს ეს პარტია და, ამასთან, მომდევნო ხელიც უღიმღამოდ ჩაატარეს. ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

თბილისელ ფრენბურთელებს უნდა ახსოვდეთ, რომ ფრენბურთი სპორტია, სპორტს კი თავისი კანონები აქვს: იმარჯვებს ის, ვინც უფრო მიზანსწრაფული და მონდომებულია. მით უმეტეს, რომ თბილისელებს ამის საუკეთესო მაგალითი, შორს რომ არ წავიდეთ, ამ პირველობაშიც ჰქონდათ. მათ საკუთარი თვალით იხილეს თამაშები, როცა გუნდი 2:0-ზე იგებდა და შემდეგ დამარცხდა. საბედნიეროდ, ამჯერად ასე არ მოხდა: მასპინძლებმა გადამწყვეტი, მეხუთე პარტია ძალიან მონდომებულად ჩაატარეს და მატჩიც მოიგეს — 3:2 (15:8, 15:10, 12:15, 2:15, 15:11).

ამ დღეს კაუნასის „სილკასი“ „მშრალი“ ანგარიშით (0:3) დამარცხდა ლენინგრადის დინამოელებთან. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ცალ კარში“ თამაში. კაუნასელები მეტად დუნედ ირჯებოდნენ და მატჩიც 55 წუთში დამთავრდა. უფრო ნაკლებ ხანს, 45 წუთს გაგრძელდა მოსკოვის „დინამოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ მატჩი. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:0.

როცა დასკვნითს ტურში თბილისელები მოსკოვის დინამოელების პირისპირ დადგნენ, მათ მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდათ — როგორმე დაემარცხებინათ პირველობის ერთპიროვნული ლიდერი. ცნობილია, რომ თბილისში იშვიათად იმართება საფრენბურთო ასპარეზობები და ამიტომ ყოველი ჩვენი მოთამაშე თავს არ იზოგავდა, რათა თანაქალაქელთა წინაშე რაც შეიძლება კარგად ითამაშა. მაგრამ ზედმეტი მონდომება ზოგჯერ საქმეს ვნებს. მართალია, მასპინძლებმა პირველი ხელი მოიგეს (15:7), მაგრამ მომდევნო პარტიებში მათ აშკარად დაეტყოთ დაღლილობა. ისინი განსაკუთრებით მოისუსტებდნენ დაცვაში. საერთოდ უნდა ითქვას, ბლოკი და დაცვა თბილისელთა „აქილევსის ქუსლი“ გახლავთ. თბილისელები დამარცხდნენ — 1:3.

ლენინგრადის „დინამოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ შეხვედრა ლენინგრადელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

ამ დღის პირველი გამარჯვება იზეიმა „სილკასის“ კოლექტივმა. მან სძლია მინსკის „ბურევესტნიკს“ — 3:1.

ამრიგად, დამთავრდა პირველი წრის მატჩები. ხუთივე მოგება აქვს მოსკოვის „დინამოს“. ოთხი მოგებით II ადგილზეა ლენინგრადის „დინამო“. თბილისელები 3 ქულით III ადგილზე არიან.

რა შეიძლება ითქვას თბილისელებზე? დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენმა ფრენბურთელებმა უმაღლესი ლიგა 1965 წელს დატოვეს და ამის შემდეგ თითქმის არასოდეს ჰქონიათ შესაძლებლობა ისევ მოეპოვებინათ ადგილი „მზის ქვეშ“. უფრო მეტიც, ისინი წლების მანძილზე ითვლებოდნენ ერთ-ერთ სუსტ გუნდად. მაგრამ ახლა თუ თბილისის „ბურევესტნიკს“ საფეთვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ გუნდში საკმაოდ ბევრი რამაა გაკეთებული კარგი ტრადიციების აღსადგენად. პირველი, რაც გვახარებს, ის გახლავთ, რომ კოლექტივში მოვიდა ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელთაც მომავალში ძალუძთ ჩინებულად იასპარეზონ. და მაინც, ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ მოთამაშეები ძალიან სერიოზულად ვარჯიშობენ, მონდომებასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა გაამართლონ ფრენბურთის მოყვარულთა იმედები.

ა. გურული.

• • •

სურათზე: ლენინგრადის „დინამოსა“ და კაუნასის „სილკასის“ შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



ერთი ქულით

სან-პაულუ, 30 იანვარი. დღეს აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. ამერიკის შეერთებული შტატებისა და პოლონეთის ეროვნული კოლექტივების დამარცხების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით წაგო ბოლო მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან — 64:65 (38:27).

აშშ-ს ნაკრებმა სსრ კავშირის წარმომადგენლებთან წაგების შემდეგ ჯერ ბრაზილიელებს სძლია — 83:61 (36:41), ტურნირის ბოლო დღეს კი პოლონელებს.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და მათს შორის ადგილები ბურთების ბალანსმა გადაწყვიტა. საკონტინენტთაშორისო თასი ამერიკელებს ხვდათ. სსრ კავშირის ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა ბრაზილიის გუნდი.

შიდასასკოლო

ნაყოფიერად საქმიანობს ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი. აქ მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. უკვე დამთავრდა კროსი. გოგონათა შორის 500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ლ. პერტახიამ, ჭაბუკთა შორის 1000 მეტრზე რბენა მოიგო ბ. ბუკია.

ჭადრაკში უმცროსი ასაკის ვაჟთა შორის I ადგილი დაიკავა მ. მოსიამ, ჭაბუკთა შორის — გ. თორიამ. უფროსი ასაკის ჯგუფში I ადგილები ხვდათ ნ. მიქავას და რ. მითაგვარიას.

ფრენბურთელთა ასპარეზობაში თავი ისახელეს: გოგონათა შორის — VIII² კლასის მოსწავლეებმა, ჭაბუკებში — XI კლასის სპორტსმენებმა.

კ. ფიფია.

(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ჩემპიონურ სვილში

ქალაქ ელექტროსტალში (მოსკოვის ოლქი) დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე.

ჩინებულად, მართლაც ჩემპიონურ სტილში ჩაატარეს პირველი წრე რიგის „ტტ-ს“ კალათბურთელებმა, რომლებმაც თერთმეტივე მატჩი მოიგეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკვე თერთმეტი წელია ისინი საბჭოთა „კალათბურთის უცვლელი ლიდერები არიან და ამ ხნის მანძილზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასსაც ფლობენ.

რიგელი სპორტსმენების ძალასა და სპორტულ ფორმაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დასკვნითს ტურში მათ გამანადგურებელი ანგარიშით სძლიეს თავიანთ ძირითად მეტოქეს — ლენინგრადის „სპარტაკს“ — 80:52 (43:16).

II და III ადგილები უკავიათ ლენინგრადის „სპარტაკსა“ და წინა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს — ვილნიუსის „კიბირკშტისს“ — 9-9 ქულა.

მომდევნო ადგილებზე არიან: „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — 8 ქულა, „დინამო“ (კიევი) — 7, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 4-4, „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი), „ინჟდორსტროი“ (კიშინიოვი) — 3-3, „დინამო“ (მოსკოვი), „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — 2-2.

• • •

წინაა სამკვირიანი შესვენება, ხოლო 22 თებერვალს რიგასა და კიევში გიმართება მეორე, დასკვნითი წრის პირველი შეხვედრები. 17 აპრილს ყველა 12 კოლექტივი შეიკრიბება ლენინგრადში, სადაც გაირკვევა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელების, აგრეთვე, იმ ორი აუტსაიდერის ვინაობა, რომლებიც უმაღლეს ლიგას დატოვებენ.

ფეხბურთი ● ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

პირველი წრის კალენდარი

აპრილი

6. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზვეზდა“ (პერმი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „შინიკი“ (იაროსლავლი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „მეტალისტი“ (ხარკოვი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შახტიორი“ (დონეცკი), „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „პამირი“ (დუშანბე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ალგა“ (ფრუნზე) — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო), „კრივბასი“ (კრივოი როგი) — „დინამო“ (ლენინგრადი).

10. „ფახთაქორი“ — „ურალმაში“, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი), „ჩერნომორეცი“ — „ტექსტილშჩიკი“, „მეტალურგი“ — „დინამო“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“, „სტროიტელი“ — „ზვეზდა“, „პამირი“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ალგა“ — „კრილია სოვეტოვი“, „ნისტრუ“ — „შინიკი“, „კრივბასი“ — „მეტალისტი“.

14. „მეტალისტი“ — „შინიკი“.

17. „შახტიორი“ (დონეცკი) — „პამირი“, „სპარტაკი“ — „სტროიტელი“, „კრილია სოვეტოვი“ — „კრივბასი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „მეტალურგი“, „ურალმაში“ — „ჩერნომორეცი“, „ტორპედო“ — „ალგა“, „ზვეზდა“ — „ნისტრუ“, „ავტომობილისტი“ — „ფახთაქორი“.

21. „შახტიორი“ (დონეცკი) — „ალგა“, „სპარტაკი“ — „ფახთაქორი“, „კრილია სოვეტოვი“ — „მეტალურგი“, „ტექსტილშჩიკი“ — „მეტალისტი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „კრივბასი“, „ურალმაში“ — „ნისტრუ“, „ტორპედო“ — „პამირი“, „შინიკი“ — „დინამო“, „ზვეზდა“ — „ჩერნომორეცი“, „ავტომობილისტი“ — „სტროიტელი“.

28. „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „მეტალურგი“ — „სპარტაკი“, „ტექსტილშჩიკი“ — „ზვეზდა“, „მეტალისტი“ — „კრილია სოვეტოვი“, „დინამო“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „სტროიტელი“ — „ფახთაქორი“, „შინიკი“ — „ურალმაში“. „ალგა“ — „პამირი“, „ნისტრუ“ — „ტორპედო“, „კრივბასი“ — „ავტომობილისტი“.

მაისი

2. „ფახთაქორი“ — „ალგა“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“, „ნისტალურგი“ — „ავტომობილისტი“, „ტექსტილშჩიკი“ — „ურალმაში“, „მეტალისტი“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „დინამო“ — „კრილია სოვეტოვი“, „შინიკი“ — „ზვეზდა“, „პამირი“ — „სტროიტელი“, „ნისტრუ“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „კრივბასი“ — „სპარტაკი“.

8. „ფახთაქორი“ — „ნისტრუ“, „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“, „სპარტაკი“ — „ტექსტილ შ ჩ კ ი“, „ურალმაში“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ტორპედო“ — „მეტალისტი“, „სტროიტელი“ — „ჩერნომორეცი“, „პამირი“ — „მეტალურგი“, „ალგა“ — „კრივბასი“, „ავტომობილისტი“ — „შინიკი“.

12. „ფახთაქორი“ — „ჩერნომორეცი“, „სპარტაკი“ — „შინიკი“, „მეტალისტი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „ტორპედო“ — „დინამო“, „სტროიტელი“ — „ნისტრუ“, „პამირი“ — „კრივბასი“, „ალგა“ — „მეტალურგი“, „ზვეზდა“ — „კრილია სოვეტოვი“, „ავტომობილისტი“ — „ტექსტილშჩიკი“.

19. „მეტალურგი“ — „კრივბასი“, „კრილია სოვეტოვი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „ტექსტილშჩიკი“ — „ალგა“, „მეტალისტი“ — „ფახთაქორი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ტორპედო“, „დინამო“ — „სტროიტელი“, „ურალმაში“ — „ავტომობილისტი“, „შინიკი“ — „პამირი“, „ზვეზდა“ — „სპარტაკი“.

23. „კრილია სოვეტოვი“ — „ტორპედო“, „ტექსტილშჩიკი“ — „პამირი“, „მეტალისტი“ — „სტროიტელი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ — „ფახთაქორი“, „ურალმაში“ — „სპარტაკი“, „შინიკი“ — „ალგა“, „ნისტრუ“ — „ჩერნომორეცი“, „ზვეზდა“ — „ავტომობილისტი“.

31. „ფახთაქორი“ — „შინიკი“, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ზვეზდა“, „ჩერნომორეცი“ — „მეტალურგი“, „სპარტაკი“ — „კრილია სოვეტოვი“, „ტორპედო“ — „ურალმაში“, „სტროიტელი“ — „ტექსტილშჩიკი“, „პამირი“ — „მეტალისტი“, „ალგა“ — „დინამო“, „ავტომობილისტი“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „კრივბასი“ — „ნისტრუ“.

ივნისი

4. „ფახთაქორი“ — „ტექსტილშჩიკი“, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ურალმაში“, „მეტალურგი“ — „ნისტრუ“, „სპარტაკი“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ტორპედო“ — „ზვეზდა“ „სტროიტელი“ — „შინიკი“, „პამირი“ — „დინამო“, „ალგა“ — „მეტალურგი“, „ზვეზდა“ — „კრილია სოვეტოვი“, „ავტომობილისტი“ — „ტექსტილშჩიკი“.

10. „ჩერნომორეცი“ — „პამირი“, „მეტალურგი“ — „ფახთაქორი“, „ტექსტილშჩიკი“ — „ტორპედო“, „მეტალისტი“ — „სპარტაკი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „კრილია სოვეტოვი“, „დინამო“ — „ავტომობილისტი“, „ურალმაში“ — „ზვეზდა“, „შინიკი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „ნისტრუ“ — „ალგა“, „კრივბასი“ — „სტროიტელი“.

14. „ჩერნომორეცი“ — „ალგა“, „მეტალურგი“ — „სტროიტელი“, „კრილია სოვეტოვი“ — „ურალმაში“, „ტექსტილშჩიკი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „მეტალისტი“ — „ავტომობილისტი“, „დინამო“ — „სპარტაკი“, „შინიკი“ — „ტორპედო“, „ნისტრუ“ — „პამირი“, „ზვეზდა“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „კრივბასი“ — „ფახთაქორი“.

21. „შახტიორი“ (დონეცკი) — „კრივბასი“, „სპარტაკი“ — „ნისტრუ“, „კრილია სოვეტოვი“ — „შინიკი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ტექსტილშჩიკი“, „ურალმაში“ — „დინამო“, „ტორპედო“ — „მეტალურგი“, „პამირი“ — „ფახთაქორი“, „ზვეზდა“ — „ავტომობილისტი“, „ალგა“ — „სტროიტელი“.

ივლისი

3. „ფახთაქორი“ — „ტორპედო“, „ჩერნომორეცი“ — „კრილია სოვეტოვი“, „მეტალურგი“ — „ზვეზდა“, „ტექსტილშჩიკი“ — „შინიკი“, „დინამო“ — „მეტალისტი“, „სტროიტელი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „პამირი“ — „ავტომობილისტი“, „ალგა“ — „სპარტაკი“, „ნისტრუ“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „კრივბასი“ — „ურალმაში“.

7. „ფახთაქორი“ — „შახტიორი“ (დონეცკი), „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“ (ყარაგანდა), „მეტალურგი“ — „ურალმაში“, „დინამო“ — „ტექსტილშჩიკი“, „სტროიტელი“ — „ტორპედო“, „პამირი“ — „სპარტაკი“, „ალგა“ — „ავტომობილისტი“, „ნისტრუ“ — „კრილია სოვეტოვი“, „კრივბასი“ — „ზვეზდა“.

14. „კრილია სოვეტოვი“ — „სტროიტელი“, „ტექსტილშჩიკი“ — „მეტალურგი“, „მეტალისტი“ — „ნისტრუ“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ფახთაქორი“, „დინამო“ — „ჩერნომორეცი“, „ურალმაში“ — „პამირი“, „ტორპედო“ — „ავტომობილისტი“, „ზვეზდა“ — „ალგა“.

18. „შახტიორი“ (დონეცკი) — „ტორპედო“, „კრილია სოვეტოვი“ — „ფახთაქორი“, „ტექსტილშჩიკი“ — „კრივბასი“, „მეტალისტი“ — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „სტროიტელი“, „დინამო“ — „ნისტრუ“, „ურალმაში“ — „ალგა“, „შინიკი“ — „მეტალურგი“, „ზვეზდა“ — „პამირი“, „ავტომობილისტი“ — „სპარტაკი“.

ფეხბურთი

როგორ გახდა ლინკოვესი რეკორდსმენი

ფინელმა ლეო ლინკოვესიმ 500-მეტრიან დისტანციაზე ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიო რეკორდის დამყარებიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ უდიდესი ინტერესი გამოიწვია თავისი პერსონისადმი არა მარტო სამშობლოში, არამედ ბევრ სხვა „საციგურაო" ქვეყანაში. შარშან მან ეს დისტანცია გაირბინა საკუთარი რეკორდით (38,88 წამში), წლეულს კი 38 წამში და მაშინვე გახდა საპოროს ოლიმპიური ოქროს მედლის № 1 პრეტენდენტი.

...მისი სპორტული მოგრაფიის ყველაზე საინტერესო „დეტალად" ბევრმა მიიჩნია წონის მომატებასთან და კუნთების „გაბერვასთან" დაკავშირებული ამბავი. 175 სმ სიმაღლის ლინკოვესი 67 კილოგრამს იწონიდა. ეს უკვარი იყო მაღალი საწვრთნელი დატვირთვებისთვის. ამიტომ ლეომ სიმძიმეების აწევა დაიწყო. შესაბამისად შეიცვალა მისი კვებაც. ამის შედეგად ორ წელიწადში მან წონაში 6 კგ მოიმატა, შედეგი კი გაუმჯობესდა 42,2-დან 39,88-მდე. დირდა მუშაობა!

თვით ლინკოვესი რაღას ამბობს? „მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ მეტი დაჟინებით დავიწყე ვარჯიში. ხეზონის დამდეგს მეორი სტარტი მქონდა, ხოლო რამდენადაც მეტს ვასპარეზობ, მით უფრო სწრაფად დავრბივარ".

რეპორტიორთა შეკითხვაზე, არსებობს თუ არა ზღვარი 500-მეტრიან დისტანციაზე, მოციგურავემ უპასუხა: „სპორტში საერთოდ არ შეიძლება რაიმე ზღვარზე ლაპარაკი".

ბუნებრივია, ლეოს მოუხდა ლაპარაკი ოლიმპიადასთან დაკავშირებულ გეგმებზე. მისი აზრით, თავად იგი ან მისი ამხანაგი ს. ჰიანინენი სამშობლოში წაიღებენ ერთ ან, შესაძლოა, ორ ჯილდოსაც კი.

ეშინია თუ არა ვინმესი ბილიკზე? ლინკოვესმა გადაჭრით უპასუხა: „არა!".

შემდეგ კი დაამატა, რომ იაპონელების გარდა, რომელნიც სამშობლოში გამოდიან, საკმაოდ ძნელი იქნება რეკორდის თანაავტორის, გფრ-ის წარმომადგენლის ე. კელერის, გამოცდილი ამერიკელის ნ. ბლეტჩფორდის, შვედი უ. კიონიგისა და იმავე ჰიანინენის დაპარცხება.

ვ. ვლადიმიროვი.
(საკ. ინფორმ.).

◆ **საპორო**, 31 იანვარი. ზამთრის XI ოლიმპიადის მონაწილე „მფრინავი მოთხილამურეები" გუნდაგულ ვარჯიშობენ — ისინი კარგად უნდა გაეცნონ ტრამპლინებს, სადაც ტომა მოუწევთ. 70-მეტრიან ტრამპლინზე დღეს თავი ისახელა სსრ კავშირის ნაკრების ვეტერანმა, საბჭოთა ქვეყნის თანხის ამასწინანდელ გათამაშებაში გამარჯვებულმა კობა წაქაძემ. იგი ყველაზე შორს — 81,5 მეტრზე გაფრინდა. საბჭოთა ნაკრების დეპიუტანტი ი. კალინინი 80 მეტრზე გადახტა.

◆ **დონეცკი**, 31 იანვარი. „შახტიორის" სპორტის სასახლეში ვაიმართა ცნობილი რეჟოლუციონერის ა. სერგეევის (არტემი) ხსოვნისადმი მიძღვნილი II ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 22 ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: დონეცკი, მოსკოვი, ზაპოროჟიე. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ფუკმა (კიევი), ვ. დემიანინმ (დონეცკი), ა. სობოლევმა (ზაპოროჟიე), ა. ფედორენკომ (დონეცკი), ვ. ისაკოვმა (მოსკოვი), გ. კარაგეურმა (კიევი), ნ. ხულამ (დონეცკი), ჰ. კრასნოკუტსკიმ (ზაპოროჟიე), ჰ. ბოგატენკომ (ოდესა), ვ. როკაევმა (ტერნოპოლი).



რედაქტორი მ. ბაბაბაძე



მადრაკი. ცენტრალური საქადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 2 თებერვალი. საერთაშორისო დიდოსტატის ა. გიპსლისის (რიგა) ლექცია „საქადრაკო სამყაროს ახალი ამბები" და ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე. დასაწყისი 19 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლენინი". **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

მოკლედ

● **ბელფასტი.** ევროპის ჩემპიონატის IV შესარჩევი ჯგუფის უკანასკნელი მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიისა და ესპანეთის გუნდებს შორის 1 თებერვლისთვის დაინიშნა. ბელფასტის ნაცვლად, სადაც რთული პოლიტიკური ვითარებაა, შეხვედრა ინგლისის ქალაქ ჰალსიტში მოეწყობა.

● **ბელგრადი.** დიდი ყოყმანისა და დავის შემდეგ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ეროვნულ ნაკრებს ნება დართოს ითამაშოს „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში", რომელიც ამ ზაფხულს ბრაზილიაში გაიმართება.

● **მიუნიენი.** გაზეთმა „ბილდციაიტუნგმა" ამას წინათ ერთი თავისებური მიმოხილვა გამოაქვეყნა: მან ცნობილი ფეხბურთელებისა და კლუბების ღირსებები გამოხატა... მარკებით. ყველაზე ძვირადღირებული დასავლეთგერმანელი ფეხბურთელია ბეკენბაუერი (1 მილიონი მარკა). შემდეგ მოდიან ნეკერი, ოვერატი, მიულერი, ფოგთსი (800 ათასი მარკა თითოეული). აი, კლუბების შეფასებაც: „ბაიერნი" (მიუნჰენი) — 3.800 000 მარკა, მენჰენგლადბახის „ბორუსია" — 3.450.000 მარკა, „კიოლნი" — 2.770 000, „ჰერტა" — — 2 520 000, „შალკი 04" — 2.480.000..

● **როტერდამი.** „ფეიენოორდის" ემისრებმა მიმართეს საფრანგეთის „სენტ-ეტიენს", რათა ამ კლუბმა დათმოს (ცხადია, დიდი გასამჯელოს ფასად) თავისი ცნობილი სნაიპერი, ზანგი ს. კეიტა (მალიდან). „ფეიენოორდის" ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გუნდს აკლია ისეთი ბომბარდირი, როგორიც მის მთავარ მეტოქეს — ამსტერდამის „აიაქსს" ჰყავს კრუიფის სახით.

● **ნოტინგემი.** ცნობილმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა ჯემელმა, რომელიც ამას წინათ „სელტიკიდან" ინგლისის „ნოტინგემ ფორესტში" გადავიდა, ახალ კლუბში დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა. ახლა მას გუნდის პირველ მოთამაშედ მიიჩნევენ.

● **მანჩესტერ-სიტი.** „მანჩესტერ-სიტის" ახალი კაპიტანი ჰყავს. ესაა ინგლისის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი კ. ბელი, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში მონაწილეობდა. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ბელმა დიდად უნდა გამოიჩინოს თავი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

მოკლედ

მათ ტაფს უკრავდნენ სტადიონები

ჩემპიონის მკვეთრი ვირაჟები

სამთოსათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ავსტრიელი სამთომოთხილამურე ტონი ზაილერის სახელი. იგი იყო ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი... მას „თხილამურების მეფეს" ეძახდნენ. მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, რაც ტ. ზაილერმა შეწყვიტა გამოსვლები. საინტერესოა, როგორ წარიმართა მისი შემდგომი ბედი?

განვლილ შემოდგომით გზად ვიყავი კიცბიუელში და შევიარე მომცრო, მყუდრო სასტუმრო „ტონი ზაილერში", სადაც ბოლო დრომდე აკმევებს 36 წლის „თხილამურების მეფის" საცოლე უძღვებოდა. თვით ზაილერს მაშინ ვერ შევხვდი: სადღაც გამგზავრებულიყო. ტონი საერთოდ იშვიათადაა შინ — მას კონტრაქტი აქვს დადებული დასავლეთ გერმანიის ტელევიზიასთან: გადაღებები სატელევიზიო ფილმებში, გამოსვლები შოუში...

მე ვნახე რამდენიმე სატელევიზიო ფილმი ტონი ზაილერის მონაწილეობით — მათ ხშირად აჩვენებენ ავსტრიაში. გულახდილად ვიტყვი: ზაილერი-მომდერალი და ზაილერი-მსახიობი შორს დგას ზაილერი-მთოხილამურისგან. მაგრამ, აი, როცა იგი ინტერვიუს იღებდა თავის თანამემამულე, 1971 წლის მსოფლიოს თასის მფლობელ ანემარი პრიოლისგან, ეს ბრწყინვალედ იყო გაკეთებული — საუბარი ისევ მისთვის საყვარელ სამთო თხილამურებს ეხებოდა! მაგრამ კონტრაქტის მკაცრი პირობებით ზაილერს უსდება გააკეთოს არა მარტო ის, საითაც გული მიუწევს.

როგორღაც ტელევიზიით აჩვენებდნენ ცირკს და უცებ მავთულზე მოსიარულეში ტონი ვიცანი. გაუბედავი, შებორკილი, ოდნავ გასუქებული ზაილერი ქანაობით მიდიოდა მავთულზე. ზაილერი, რომელზეც ავსტრიაში ასლაც თხზავენ ლეგენდებს. ზაილერი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი, ზაილერი, რომელმაც მეტეორივით გაიჭრა სათხილამურო ციხიდეზრზე და... ჩაერა: პროფესიონალებში გადავიდა.

განვლო 15 წელმა და აი, ლეგენდარული სპორტსმენი, უმწეო და დაბნეული, მავთულზე დადის ცირკის თაღქვეშ.

ზაილერს მთლიანად არ დაუნებებია თავი სამთოსათხილამურო საქმეებისთვის. იგი კიცბიუელის სათხილამურო კავშირის პრეზიდენტია. წვრთნაში ეხმარებოდა თავის ძმას რუდი ზაილერს.

როცა შარშანდელი ზამთრის დასაწყისს ცხადი გახდა, რომ ავსტრიელებმა დაკარგეს წამყვანი პოზიციები მსოფლიოს სამთოსათხილამურო სპორტში და გადაწყდა ნაკრების ხელმძღვანელის ფ. ჰოპპლერის „დამსობა", ტიროლის სათხილამურო კავშირმა ამ პოსტზე ტონი ზაილერის კანდიდატურა წამოაყენა. მაგრამ ზაილერს დასავლეთ გერმანიის ტელევიზიასთან დადებული კონტრაქტის დარღვევასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 700.000 ავსტრიული შილინგი უნდა შეეტანა. რასაკვირველია, ავსტრიულ „კავშირს" ასეთი თანხის ვადახდა არ შეეძლო.

მაგრამ ეს ამბავი ტონის მაინცდამაინც არ აწუხებს. მას დიდი გეგმები აქვს ტელევიზიაში. ზაილერის პანსიონში, რომელიც კიცბიუელშია, მოსვენება არაა უცხოელი ტურისტებისგან. ზოგიერთ ყველაზე უფრო საპატიო სტუმარს იგი თვითვე ასწავლის სამთოსათხილამურო სპორტის ანბანს. ზაილერის სახელს ყველაზე უფრო გაქნილი საქმოსნები იყენებენ როგორც რეკლამას. ვენაში, მაგალითად, დადიან სასწავლო მანქანები, რომლებსაც აწერიათ „ტონი ზაილერის ავტოსკოლა". მთელს ავსტრიაში ჭკვია მისი სახელი სპორტულ მაღაზიებს, სასტუმროებს, კაფეებს.

თვით ტონიმ იცის, რომ ასეთი საარეკლამო ხმაური მარადიული არაა. საკმარისია ამოვიდეს ახალი ვარსკვლავი და იგი წასვლე დაჩრდილავს ისეთ ნათელს სახელსაც კი, როგორიც ზაილერისაა. ამიტომ ჩქარობს ასე, რომ ნოლიანად მიიღოს ის პროცენტები, რომელსაც ეს დიდება აძლევს.

ლ. გოროდინა.
(„იზვესტია", 29 იანვარი).

ფეხბურთის ინდუსტრიის ჯურღმულებში

ქიდევ ცოტა და ჩვენ კვლავ ვიხილავთ ევროპის ჩემპიონატის მატჩებს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელთა მონაწილეობით. სავსებით ბუნებრივია, რომ იმ ფავორიტთა შორის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ასპარეზობაში, უწინარეს ყოვლისა, არიან გფრ-ისა და იტალიის გუნდები. მართლაც, ძნელია არ გაიხსენო ფაკეტის, რივას, მიულერის, ბეკენბაუერის, რივერასა და სხვათა დიდი ოსტატობა, რაც ასე მკაფიოდ ჩანდა ორი წლის წინ მექსიკაში. მაგრამ ბოლო ხანებში ამ ქვეყნების სტადიონებზე მოსდა ერთობ არასპორტული, უსიამოვნო ამბები.

უცხოეთის პრესა წერდა სკანდალზე, ქარიშხალივით რომ მძვინვარებდა სპორტულ წრეებში იმ მხილებათა გამო, რომლებიც „მსოფლიოს ყოველ კუთხეს მოსდო" ჰ. კანელასმა. ამას მოჰყვა ის, რომ დასავლეთგერმანელ მოთამაშეთა ერთი ჯგუფი დისკვალიფიცირებული იქნა მექრთამეობისთვის. ახლა კი კვლავ მწიფდება ახალი სენსაცია. შემაშფოთებელი ხმები ამჯერად იტალიიდან მოისმის.

აი, საგულისხმო სათაურები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა ზოგიერთ იტალიურ გაზეთში: „იტალიური ფეხბურთი კრიზისის მიჯნაზეა", „ფეხბურთს პოლიტიკოსთა დახმარება სჭირდება", „კატანია" კრახის წინაშე" და სხვ.

იტალიურ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები „კონომიური სასიათის გამოკვლევებს მოგვაგონებენ, ისეა აჭრელებული ცხრილებითა და ციფრებით. იტალიაში მიმდინარე მოვლენათა გასაგებად მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ ფეხბურთი ამ ქვეყანაში იმაზე გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვეულებრივი სპორტული თამაში. ფეხბურთი აქ ბიზნესია. მას უჩვეულოდ დიდი შემოსავალი მოაქვს.

საინტერესო მონაცემებია მოყვანილი რომის პოპულარულ გაზეთ „ჰეზე სერაში". აქედან ვგებულობთ, რომ ფეხბურთის ინდუსტრიას შემოსავლის მსრივ მე-15 ადგილი უკავია იტალიაში და წინ უსწრებს ისეთ მონოპოლისტურ გაერთიანებებს, როგორიცაა „ფალკი", „ერიდანია", „ინოჩენტი" და სხვ. იტალიური ფეხბურთის ყოველწლიური შემოსავალი 200 მილიარდ ლირას უდრის, მაგრამ ამ თანხის დიდი ნაწილი ბიზნესმენთა ჯიბეში რჩება, ხმარდება ახალი მოთამაშეების შესყიდვას. გაოცებას არ უნდა იწვევდეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადება, რომ I და II ლიგების კლუბების დავალიანება 35 მილიარდ ლირას აღწევს, მაშინ, როცა ამ კლუბების საერთო აქტივი სულ 13 მილიარდ ლირას შეადგენს. ყველაზე სავალალო მაინც ისაა, რომ უახლოეს მომავალში კლუბებმა უნდა გაისტუმრონ ვალი 6 მილიარდი ლირის ოდენობით. ეს ამბავი მაინცდამაინც არ აღელვებს ისეთ მდიდარ კლუბებს, როგორიც არიან „ინტერნაციონალე" ან „მილანი". რაც შეეხება უფრო ღარიბ კლუბებს („რომა", „ვარეზე", „კატანია" და სხვ.), მათი მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია, ცხადია, კრიზისის ლიკვიდაციისთვის ზოგიერთ ღონისძიებას მიმართავს. ფედერაცია დასმარებას სთხოვს მთავრობას, კლუბებს ურჩევს აქციები შესთავაზონ მსხვილ მონოპოლიებს.

მაგრამ უშველის ეს საქმეს? „უნიტას" სპორტული მიმომხილველის ლ. ჯულიანის აზრით ამგვარი ღონისძიებები მხოლოდ ართულებენ ისედაც მძიმე ვითარებას.

„მდგომარეობა ისეთივე იქნება, როგორიც ახლაა, ან გაუარესდება კიდეც, ესე იგი, მიგვიყვანს ეკონომიურ კატასტროფამდე", — ასეთია გაზეთის აზრი.

ნ. გაბაშვილი.